RMG AURAMINE

№ 115

Date 26.10.2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

№ 16805
26" 10 2020
2/261

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ს დაგეგმილი აქვს ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის (ზოგადი დებულებანი) მოთხოვნების მიხედვით: გზშ-ს ექვემდებარება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული ის საქმიანობა, რომელიც ამ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გზშ-ს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 5.1. ქვეპუნქტის მიხედვით: „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება" ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ამავე კოდექსის, მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

შპს „არ ემ ჯი აურამაინი" მიიჩნევს, რომ მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის (საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით) საჭიროა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა და შესაბამისად ვალდებულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებამდე გაიაროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სანებართვო პროცედურები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად წარმოგიდგენთ შპს „არ ემ ჯი აურამაინ"-ის ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

#1 M.Aleksidze Str, 3 lane, 0193 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 247 45 45
Email: info@richmetalsgroup.com
Web: www.richmetalsgroup.com

თბილისი 0193, მ.ალექსიძის ქ. #1 მე - 3 შესახვევი
ტელ: +995 32 247 45 45
ელ - ფოსტა: info@richmetalsgroup.com
ვებ - გვერდი: www.richmetalsgroup.com

დანართი:

1. შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ოქრო-პოლიმეტალური მადნების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია;

2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის
გენერალური დირექტორი
თორნიკე ლიპარტია